№2

თებერვალი, 2022წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ვილოცავთ ვაზობელის დღესასწაულებს!

სტუდენტური დაფინანსების პროგრამა გრძელდება

გვ3:2

1 მარტიდან სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

გვ3:2

ბოლნისის მუნიციპალიტეტი უკრაინას სოლიდარობას უცხადებს!

უკრაინისა და უკრაინელი ხალხის სოლიდარობის ნიშნად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია სარეზერვო ფონდიდან ჰუმანიტარული დახმარებისთვის შესაბამის თანხას გამოჰყოფს.

გამოყოფილი თანხა პირველადი მოხმარების ნივთების შეძენას მოხმარდება.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია. ჰუმანიტარულ პროცესებში აქტიური ჩართულობისკენ ბიზნეს სექტორისა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებსაც მოუწოდებს.

მათ, ვისაც სურვილი აქვს ჰუმანიტარულ აქციაში მონაწილეობა მიიღოს, არამალფუჭებადი საკვებისა და პირველადი მოხმარების ნივთების მიტანა ბოლნისის მუნიციპალიეტეტის მერიის შენობაში გახსნილ სპეციალურ შტაბში შეეძლება.

ჰუმანიტარული ტვირთის ტრანსპორტირებას ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია საქართველოს მთავრობის დახმარებით უზრუნველყოფს.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერია- საკონტაქტო პირი: სალომე წიქორიძე

596 11 77 80

მისამართი: ქალაქი ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N106

სტუდენტური დაფინანსების პროგრამა გრძელდება

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მიერ დადგენილი სტუდენტური დაფინანსების მისაღებად, გთხოვთ, დოკუმენტაცია წარადგინოთ ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის მოქალაქეთა მომსახურების განყოფილებაში.

ფულადი დახმარების პროგრამაში, კატეგორიების მიხედვით, სტუდენტი ჩაერთვება დოკუმენტაციის სრულად წარდგენის შემდგომ.

მუნიციპალიტეტი სტუდენტურ დახმარებას გასცემს შემდეგ კატეგორიებზე:

1.ობოლი სტუდენტები და სტუდენტები მარჩენალდაკარგული ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში.

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ცნობა სასწავლებლიდან;
3. გარდაცვალების მოწმობა;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი;
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

2. სტუდენტები იძულებით გადაადგილებული ოჯახებიდან , რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დევნილის მოწმობა;
3. ცნობა სასწავლებლიდან;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი.

3. სტუდენტები სოციალურად დაუცველი (0-დან 100 000 ქულამდე) ოჯახებიდან, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. სოციალურად დაუცველის მოწმობა (0 დან 100 000 ქულამდე);
3. ცნობა სასწავლებლიდან;
4. პირადი ანგარიში ბანკიდან;
5. დაბადების მოწმობის ასლი.
6. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

4. სტუდენტები მრავალშვილიანი ოჯახებიდან (სამი და მეტი შვილი), რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლები (ყველა დედმამიშვილის);
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

5.სტუდენტები ოჯახებიდან, რომელშიც ორი ან მეტი სტუდენტია და სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4.ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი.

6.წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4.ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;
6. ამონაწერი ქულების შესახებ (81-დან 90-ის ჩათვლით 50 ლარი);

7. წარჩინებული სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;
6. ამონაწერი ქულების შესახებ (91-დან 100-ის ჩათვლით 100 ლარი).

8. შშმ. სტუდენტები, რომლებიც სწავლობენ სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს სასწავლებელში;

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. დაბადების მოწმობის ასლი;
3. პირადი ანგარიში ბანკიდან;
4. ცნობა სასწავლებლიდან;
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი;
6. შშმ სტატუსი.

„არასრულწლოვანთა მსჯავრდებულების კოდექსი“ საქართველოს კანონით განსაზღვრული კანონთან კონფლიქტში მყოფი არასრულწლოვანი, რომელიც გახდა სტუდენტი - 100 ლარი

1. პირადობის მოწმობის ასლი
2. დაბადების მოწმობის ასლი
3. პირადი ანგარიში ბანკიდან
4. სასწავლებლიდან ცნობა
5. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოდან განცხადება-ანკეტა (ფორმა #1) ასლი
6. განრიდების ოქმი, დადგენილება სისხლის სამართლებრივი დევნის არდაწყების შესახებ ან დადგენილება გამოძიების შეწყვეტის შესახებ ან გამამტყუნებელი განაჩენი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმი ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის ადმინისტრაციული სახდელის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილება.

გთხოვთ, გაითვალისწინოთ სასწავლებლიდან ცნობა გაცემული უნდა იყოს სწავლის დაწყების შემდგომ. წინააღმდეგ შემთხვევაში, წარმოდგენილი საბუთები არ განიხილება.

1 მარტიდან სოციალურად დაუცველი შრომისუნარიანი მოქალაქეების დასაქმების მასშტაბური პროგრამა დაიწყო

პროგრამით ისარგებლებენ 18 წლიდან საპენსიო ასაკამდე სოციალური შემწეობის მიმღები შრომისუნარიანი პირები, რომელთაც არ აქვთ მინიჭებული შშმ სტატუსი ან არ აქვთ ჯანმრთელობის მძიმე პრობლემები.

პროგრამაში ჩართულ თითოეულ მოქალაქეს მიეცემა დამატებით 300 ლარი.

მოსარგებლეს ექნება საშუალება, აირჩიოს საზოგადოებრივი სამუშაო, ან შრომის ბაზარზე არსებული უნარ-ჩვევების გამოცდილებისა და პროფესიული განვითარების შესაბამისი ვაკანსია, ან თუ მოსარგებლე დასაქმებულია არაფორმალურ სექტორში, დასაქმების ფორმალიზება მოახდინოს და ჩაერთოს პროფესიული მომზადებისა და გადამზადების ქვეპროგრამებში.

საზოგადოებრივი სამუშაო არ განაპირობებს სოციალური დახმარების შეწყვეტას. მოსარგებლის ოჯახს 4 წლის განმავლობაში შეუნარჩუნდება საარსებო შემწეობა.

მოსარგებლეს შემწეობა გაუგრძელდება მაშინაც, თუ იგი არ დათანხმდება არცერთ შემოთავაზებას, მაგრამ 1 წლის შემდეგ ოჯახის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა ხელახლა გადამოწმდება.

სოციალურად დაუცველი და სხვა მოწყვლადი კატეგორიის ბენეფიციარები სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უფასოდ ისარგებლებენ

ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის, გიორგი დოხტურიშვილის ინიციატივით, ადმინისტრაციის ბალანსზე არსებული 18 ერთეული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა ადგილობრივ თვითმმართველობებს საკუთრებაში გადაეცათ – ამ ეტაპზე, მარნეულის მუნიციპალიტეტმა – 5, გარდაბანმა – 4, დმანისმა – 3, ბოლნისის, თეთრიწყაროსა და წალკის მუნიციპალიტეტებმა კი 2 – 2 ტრაქტორი მიიღეს.

სიახლით სარგებლობას სოციალურად დაუცველი მოქალაქეები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები უფასოდ შეძლებენ – პროცესი მუნიციპალიტეტის სპეციფიკისა და სპეციალურად გაწერილი პროგრამის გათვალისწინებით განხორციელდება. დასაქმების მსურველთა ხელშეწყობის მიზნით, მოხდება შესაბამისი სტატუსის მქონე პირთა გადამზადებაც. „ქვემო ქართლის რეგიონში, მუნიციპალიტეტების მერებთან ერთად, შევიმუშავეთ სამოქმედო გეგმა – პროგრამის მიხედვით, 18 ერთეული ტრაქტორი, რომელიც მუნიციპალიტეტებს დროებით სარგებლობაში ქონდათ, დღეიდან საკუთრებაში გადავეცით. ასევე დღეიდან, ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახი და მოწყვლადი ჯგუფი, მიწის დამუშავებისთვის საჭირო მომსახურებას განცხადების დარეგისტრირებისთანავე მიიღებს და ამ პროცესს ადგილობრივი თვითმმართველობები უზრუნველყოფენ. მოსახლეობისთვის ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი, რადგან, ხშირ შემთხვევაში, ოჯახებს შესაბამისი სახსრები არ გააჩნდათ და მიწები დაუმუშავებელი იყო – ეს პრობლემა დღეს უკვე გადაჭრილია. მადლობა მინდა გადავუხადო მუნიციპალიტეტების მერებს, რადგან უშუალოდ მათი ჩართულობით მოხდა ამ პროგრამის შემუშავება – ყველა მათგანი მოწოდების სიმაღლეზეა რათა ეს სამუშაოები არ შეფერხდეს – 18 ერთეული

ტრაქტორი სახნავ-სათეს მიწებზე აქტიურ ფაზაში მუშაობას დღეიდან დაიწყებს.“ – განაცხადა გიორგი დოხტურიშვილმა.

აღსანიშნავია, რომ ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციას, 18 ერთეული ტრაქტორი, შესაბამისი, სპეციალური აღჭურვილობით, 2016 წელს, კომპანია „სოკარმა“ გადასცა – აღნიშნული ტექნიკით სარგებლობას რეგიონის მუნიციპალიტეტები მხოლოდ თხოვების ხელშეკრულების საფუძველზე ახდენდნენ.

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის “ინიციატივების თანადაფინანსების” პროგრამის ფარგლებში პირველი პროექტი დასრულდა

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის, „ინიციატივების თანადაფინანსების“ პროექტის ფარგლებში, დაბა კაზრეთის №1 საჯარო სკოლის მიმდებარე

ტერიტორიაზე მოსაცდელი მოეწყო, რომლის იდეაც ბალიჭის საინიციატივო ჯგუფმა, მარიამ ნასყიდაშვილის ხელმძღვანელობით შეიმუშავა.

,,ინიციატივების თანადაფინანსების“ პროგრამა 2021 წელს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ახალგაზრდულმა სამსახურმა, რუსთავის მოდელის ანალოგზე, მათთან თანამშრომლობით შექმნა, რომლის მიზანია, ბოლნისის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სრულწლოვანი მოქალაქეების, საინიციატივო ჯგუფების და არასამთავრობო ორგანიზაციების, გააქტიურება, მათი ინიციატივების მხარდაჭერა და მუნიციპალიტეტის განვითარებისთვის მნიშვნელოვანი პროექტების თანადაფინანსება.

,,ჩვენმა საინიციატივო ჯგუფმა შეიმუშავა პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა დაბა კაზრეთში №1 საჯარო სკოლის წინ მოსაცდელის მოწყობას, მოსახლეობას აღარ მოუწევდა ცუდ და წვიმიან ამინდში ღია ცის ქვეშ მოცდა. დაფინანსდა იდეა და განხორციელდა წარმატებით. ამ პროექტის საშუალებით დაბაში მოგვარდა დიდი ხნის პრობლემა. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიას და „რუსთავის ინოვაციების ჰაბს“ ფინანსური მხარდაჭერისთვის და თანადგომისთვის, მოხარული ვარ, რომ აღნიშნული პროექტები გვაძლევს საშუალებას, მცირედი წვლილი შევიტანოთ, ჩვენი ქვეყნისა, თუ დაბის განვითარებაში,“ განაცხადა მარიამ ნასყიდაშვილმა.

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის წარმომადგენლებმა, ბოლნისში საინფორმაციო შეხვედრა გამართეს

საქართველოს თავდაცვის ძალების ეროვნული გვარდიის წარმომადგენლები, ტერიტორიული რეზერვის შესახებ საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებს შეხვდნენ

ეროვნული გვარდიის მე-20 კადრირებული ბრიგადის 204-ე კადრირებული ბატალიონის მეთაურმა, ვიცე პოლკოვნიკმა მირზა ბეჟანიძემ და მე-20 კადრირებული ბრიგადის ბატალიონის სერჟანტმა, მასტერ სერჟანტმა ილია შაშიაშვილმა ტერიტორიული რეზერვის შესახებ საინფორმაციო შეხვედრა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიაში გამართეს და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებს პროექტისა და რეზერვში მიღების პირობების შესახებ დეტალური ინფორმაცია მიაწოდეს.

საინფორმაციო შეხვედრას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბუბა გობეჯიშვილი და მერიის სამსახურების უფროსები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ ქვემო ქართლის რეგიონში წელს პირველად ჩამოყალიბდა რეზერვისტთა 204 -ე ბატალიონი, სადაც ამ რეგიონის წარმომადგენლები ირიცხებიან.

ტერიტორიული რეზერვი თავდაცვის სამინისტროს პროექტია და მიიღებიან თბილისის, მცხეთის, კახეთის, იმერეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიისა და ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეობის მქონე პირები 18 – დან 51 წლის ჩათვლით, მათ შორის სტუდენტები, 18-დან 22 წლის ჩათვლით. ტერიტორიულ რეზერვში ჩარიცხულ მოქალაქეებს 4-წლიანი კონტრაქტი გაუფორმდებათ. მათი ანაზღაურება ყოველთვიურად წოდებრივი სარგოს 20% შეადგენს, ხოლო ქვედანაყოფში ყოფნისას ისინი ხელფასს სრულად აიღებენ.

რეზერვში ჩარიცხული რეზერვისტის მინიმალური წლიური ანაზღაურება 2700 ლარს შეადგენს. წლის განმავლობაში ინტენსიური საბრძოლო მომზადება მოიცავს 45 დღემდე პერიოდს, რომელიც თანაბრად განაწილდება 12 თვეზე. აღნიშნული მომზადების კურსის მთავარი ამოცანა რეზერვისტისთვის ქვედანაყოფის საველე შეკრებებზე რეალური საბრძოლო უნარების შესწავლაა. ტერიტორიული რეზერვის გავლის პერიოდში მოქალაქეები ისარგებლებენ სამედიცინო მომსახურებით, ასევე უზრუნველყოფილნი იქნებიან სოციალური და სამართლებრივი დაცვით. რაც შეეხებათ სტუდენტებს, სარეზერვო სამსახურის ერთი კონტრაქტის შემდეგ სამხედრო სავალდებულო სამსახური გავლილად ჩაეთვლებათ.

ნანა თვაურის ტკივილიანი ცხოვრება და საკლასო ოთახს მიღმა დატოვებული მწუხარება

ცხოვრება სავსეა მოულოდნელი ბედნიერებითა და თავს დატეხილი სიურპრიზებით. თუ მასწავლებელი ხარ და ეს შენი ცხოვრების წესია, ნუ გამიჯნავ მას რეალური ცხოვრებისგან. შენს მოსწავლეებს დაანახე, რომ ცხოვრება შეიძლება იყოს სევდიანიც და მხიარულიც, ის ჭრელია და მთავარია, ამ სიჭრელეში, შენთვის სასურველი ფერის პოვნა შეძლო. ,,არის მომენტები, როცა სამყაროსგან განდგომა ყველაფერს გირჩევნია, მაგრამ ვიკრებთ ძალებს, ტკივილს გულში ვიქვავებთ, ვდგებით და მივდივართ, მივდივართ მათთან, რადგან ვიცით, რომ ისინი გველოდებიან, ჩვენ მასწავლებლები ვართ და ეს ჩვენი ვალია''.

გიამბობთ პედაგოგზე, რომელმაც მძიმე და ტკივილიანი ცხოვრების გზა განვლო, მაგრამ სულიერად არ დაეცა, არაერთი ღირსეული თაობა აღზარდა და დღესაც, იმავე შემართებით და პასუხისმგებლობით უდგება თავის პროფესიას. ტკივილი მოსწავლეების სიყვარულმა შეუმსუბუქა, დღეს ჩვენ გიამბობთ ნანა თვაურის ტკივილიან ცხოვრებაზე და საკლასო ოთახს მიღმა დატოვებულ მწუხარებაზე.

-ქალბატონო ნანა, გვიამბეთ თქვენზე.

-დავიბადე 1956 წელს ქ. გორში. ბედნიერი ბავშვობა მე-4 კლასამდე გაგრძელდა. მე-3 კლასი რომ დავამთავრე, ზაფხულში, ავარიაში გარდამეცვალა 37 წლის მამა და დავრჩით 4 ობოლი. დედას არასოდეს უმუშავია. გავიზარდე გაჭირვებაში. ისე დავამთავრე სკოლა, არასდროს ვყოფილვარ ექსკურსიაზე, დაბადების დღეზე და სკოლის გამოსაშვებ საღამოზეც კი. ვსწავლობდი კარგად, ვიყავი წარჩინებული მოსწავლე, რადგან სხვა არაფრის იმედი არ მქონდა. ზუსტად გაჭირვება იყო სწავლის მოტივაცია. ოთხივე და-ძმამ მივიღეთ უმაღლესი განათლება. პირველ წელსვე ჩავირიცხე ქ. გორის ნიკოლოზ ბარათაშვილის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტში, ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და დავამთავრე წარმატებით.

-ბოლნისში როგორ მოხვდით?

-ოჯახის შექმნის შემდეგ მოვხვდი ბოლნისში, კერძოდ, დაბა კაზრეთში. 1979 წლის სექტემბერში დავიწყე მუშაობა დაბა კაზრეთის N1 საჯარო სკოლაში ფიზიკის პედაგოგად.

ჩემი ცხოვრების დევიზი იყო და არის ობოლი და გაჭირვებული ადამიანების თანადგომა. მაღალი პასუხისმგებლობის გრძნობის გამო, საქმეს არასოდეს ვაკეთებ მოვალეობის მოხდის მიზნით.

სიგელი, ,,ყველაზე ნიჭიერი" პედაგოგი, რომლითაც მოსწავლეებს შორის ჩატარებული გამოკითხვის შედეგად მაღიარეს, დღესაც მახარებს. 2005-2006 წლებში რაიონის წარმატებულ მასწავლებლად დამასახელეს და ფულადი ჯილდოც გადმომცეს.

-რატომ აირჩიეთ პედაგოგობა?

- ძალიან მიყვარდა ფიზიკის მასწავლებელი, რომელიც ჩემთვის იყო მაგალითი. მომწონდა ბავშვებთან ურთიერთობა. პრობლემებს სახლში ვტოვებ და უფრო მეტი ენერგიით ვცდილობ გავაგრძელო ჩემი საქმიანობა, რაც გამომდის კიდეც. უანგაროდ ვეხმარები და გვერდში ვუდგავარ ყველა მოსწავლეს, რომელსაც უჭირს სწავლა. არასოდეს ვარ ჩასაფრების პოზიციაში, ვცდილობ მარტივად შევასწავლო ეს, ერთი შეხედვით, რთული საგანი. ამაში კი ძალიან დამეხმარა ჩემი მეორე ოჯახი, საუკეთესო, გამორჩეული სკოლის გუნდი და მეგობრები. მათი დახმარებით ბევრი რამ შევძელი. გავზარდე თაობები. ბევრია ისეთი ადამიანი, რომელიც არის წარმატებული, რაშიც ჩემი წვლილია და ვამაყობ კიდეც ამით.

-როგორია თაობებს შორის განსხვავება?

-თაობებს შორის განსხვავება იმდენად დიდია, ჩამოთვლა შორს წამიყვანს. ადრე სწავლის მოტივაცია იყო მეტი, სწავლის ხარისხი მაღალი. მეტი პასუხისმგებლობის გრძნობა ჰქონდათ, ეს ალბათ იმითაც იყო განპირობებული, რომ ატესტატში შეფასება იწერებოდა, ტარდებოდა გამოცდები და ა.შ. მიუხედავად იმისა, რომ ტექნოლოგიები განვითარდა, კომპიუტერის საშუალებით შეიძლება ბევრი მზა ინფორმაციის მიღება და გამოყენება, მოტივაცია მაინც ნაკლებია.

ჩემი აზრით, წიგნი შეუცვლელია, ის საუკეთესო ცოდნის წყაროა, რასაც ახლანდელი თაობა დაშორდა.

განსაკუთრებით პანდემიის პირობებში დაიწია განათლების ხარისხმა. თითქოს იმის მიღება უნდათ, რასაც არ იმსახურებენ.

-როგორი უნდა იყოს პედაგოგი?

-პედაგოგი პირველ რიგში მოწოდებით უნდა იყო. უმთავრესია ბავშვების სიყვარული, სამართლიანობა და ობიექტურობა, რითაც იმსახურებ მოსწავლეთა დიდ სიყვარულს. გულწრფელად ვიტყვი, მოსწავლეებისაგან სიყვარული არ მაკლია. მათგან ყოველთვის ვგრძნობ პატივისცემას. ჩემი ძირითადი სამუშაო მიმართულება ისაა, რომ მოსწავლეებს შევაყვარო საგანი - ფიზიკა, რომელიც მართლა ძალიან საინტერესოა და ცხოვრებაშიც ბევრჯერ გამოადგებათ.

-დღეს როგორ ცხოვრობთ?

-მიმძიმს ამ კითხვაზე პასუხი, რადგან გადავიტანე ისეთი ტრაგედია, რასთანაც ჩემი ბავშვობის ტკივილი, მოსატანიც არაა.

გარდამეცვალა წარმატებული, საუკეთესო შვილი თავის ოჯახთან ერთად, მაგრამ ვაგრძელებ ცხოვრებას, ვცდილობ უფრო ძლიერი ვიყო (ეს თვისება ბავშვობიდან გამომყვა).

-რას ურჩევთ დამწყებ პედაგოგს?

-ახალგაზრდა პედაგოგებს ვურჩევ, პირველ რიგში უყვარდეთ თავისი პროფესია და ბავშვები. ჰქონდეთ ნებისყოფა, რაც მთავარია, დიდი შრომით მიიღწევა ყველა წარმატება. არასოდეს იყო სხვის იმედზე, შენ უნდა შეეცადო შენით დადგე მყარად ფეხზე.

-თქვენი გადმოსახედიდან, რას შეცვლიდით სასკოლო პროცესში?

-ვისურვებდი, მოსწავლეებში სწავლის მიმართ ინტერესი მეტი იყოს. ამისთვის აუცილებელია გამოცდები, რომ ბავშვებმა მეტი იშრომონ. მინდა ყველა პედაგოგს და მოსწავლეს ჯანმრთელობა ვუსურვო, არ მინდა სხვის თვალში ცრემლის დანახვა, თუ ასე მოხდება, ეს იყოს სიხარულისა და ბედნიერების ცრემლი.

-მადლობა საინტერესო საუბრისთვის, „გაზეთი ბოლნისი" გისურვებთ ჯანმრთელობას და მხნეობას.

ავტორი:მაგდა დევნოზაშვილი

სევდით და ტკივილით დაწყებული პოეზია

„გაზეთი ბოლნისი" წარმოგიდგენთ ქალბატონს, რომელმაც დიდი ტკივილითა და სევდით გამოწვეული გრძნობები ფურცელზე გადმოიტანა და შვება პოეზიაში იპოვა. გუთი ბოლნელმა 2019 წლიდან დაიწყო წერა მოძალებული სევდის ფონზე. არა ერთი ლექსისა და ნოველის ავტორის შემოქმედებაში ძირითადად საკუთარი ემოციები, გრძნობები და შინაგანი სამყაროა გადმოცემული, თუმცა მკითხველის მისადმი დამოკიდებულებამ, სიყვარულმა და თანადგომამ მას მისცა ძალა, პოეზიაც გაეფერადებინა და სიცოცხლე შეეტანა თითოეულ სტროფსა და ტაეპში.

გუთი ბოლნელი „პერსონა 2022" ტიტულზეა წარდგენილი ხელოვნებისა და შემოქმედებითი განვითარებისთვის, მას ასევე აქვს მიღებული პრემია „ივერიის" კონკურსის ნომინაციით საუკეთესო სონატაში. მისი ლექსები შეტანილია და გამოქვეყნებული მწერალთა კავშირის გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოში".

ქალბატონ გუთის 3 წიგნის მასალა აქვს შეგროვებული, თითოეულ ლექსს თუ ნოველას, როგორც თავად ამბობს „სევდისა და სინაზის სურნელი აქვს". წერს მოზღვავებული ემოციების ფონზე. სათქმელი და გრძნობები ერთი ამოსუნთქვით გადმოაქვს ქაღალდზე. თითოეულ ნაწერს დიდი პასუხისმგებლობით ეკიდება, რადგან იცის, რომ მის შემოქმედებას ფართო პუბლიკა ეცნობა.

,,უზარმაზარ სიყვარულს იტევს ჩემი გული... დიახ, ჩემი პოეზია სევდიანია. თუმცა ვწერ ზოგად თემებზეც, რეალობაზე დაფუძნებულს, ჩემს პოეზიაში ჩემი შინაგანი სამყაროა სიყვარულით სავსე, რომელიც ანკარა წყაროსავით ჩუხჩუხებს,"ამბობს გუთი ბოლნელი.

გუთი ბოლნელის სახელი და გვარი გულთამზე ბესალაშვილია, ეს ფსევდონიმი ბოლნისის სიყვარულმა დაარქმევინა. სწორედ ამ დიდი

პანდემიის თაობა

ჩვენი რუბრიკა, „პანდემიის თაობა“ ამჯერად მომავალ ჟურნალისტს მასპინძლობს, რომლის სამომავლო გეგმებშიც აქტუალურია ტელევიზიის დაფუძნება.

მიზანდასახული და უნიჭიერესი გოგონასთვის, მიუღწეველი არაფერია, ბავშვობის ოცნება ჟურნალისტი გამხდარიყო, აიხდინა. ის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრიატის სტუდენტია. პროფესიისადმი სიყვარული ბავშვობიდან ჰქონდა და ოჯახიც მხარს უჭერდა. მომავალ თაობებს ურჩევს, რომ გამოიყენონ დრო, მიიღონ მეტი განათლება და შექმნან, საკუთარი თავის, საუკეთესო ვერსია.

-ვინ არის ქრისტინე ქუქჩიშვილი?

-მე ქრისტინე ვარ, 18 წლის, მიზანდასახული, იშვიათად ვარ ცუდ ხასიათზე. დავამთავრე იოანე ბოლნელის სახელობის სასულიერო სკოლა, ამჟამად ვარ კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის, ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციების ბაკალავრიატის სტუდენტი.

-მომიყევი სკოლის კედლებში გატარებულ წლებზე, როგორი იყო ეს თორმეტი წელიწადი....

- არ ვიცი, ალბათ უამრავი ფურცელი დამჭირდება, რომ ეს 12 წელი დავატიო. საუკეთესო მოგონებები დავაგროვე სკოლაში და ყველაზე ძვირფასი, რაც სკოლამ მომცა, ჩემი საუკეთესო მეგობრები არიან. სკოლის და მასწავლებლების დამსახურებაა, რომ დღეს ქრისტინე სტუდენტი და წარმატებული ახალგაზრდაა.

-როგორი წარმოგედგინა ბოლო ზარი და რა შეცვალა პანდემიამ...

-ბოლო ზარი პირადად ჩემთვის იყო ისეთი, როგორიც წარმომედგინა და უკეთესიც კი, პანდემიიდან გამომდინარე ყველაფერი წესების და რეგულაციების დაცვით მოხდა.

-ქრისტინე, რატომ აირჩიე ეს პროფესია?

-ეს იყო ის პროფესია, რომელზეც ბავშვობიდან ვოცნებობდი, ყოველთვის ვხედავდი ჩემს თავში ჟურნალისტს. ამ ოცნებას ფრთები, მეთერთმეტე კლასის დასასრულს, შევასხი კიდეც.

-როგორ შეხვდა ოჯახი ამ გადაწყვეტილებას?

-ოჯახმა იცოდა ჩემი ამ პროფესიისადმი სიყვარული, აქედან გამომდინარე, ისინიც მუდამ მხარს მიჭერდნენ.

-გარდა სასკოლო პროგრამისა, თუ იყავი ჩართული პროექტებში?

-სკოლის გარდა ვიყავი უამრავ პროექტში ჩართული: დიდგორელი, ეტალონი, პოეზიის კონკურსები, Educational Debates Association of Georgia-ის სასწავლო დებატების კონკურსი. ასევე სკოლის დამსახურებაა ის, რომ რადიო WW-ის გუნდის წევრი ვარ და კიდევ უამრავი პროექტი.

-რა მოგცა რადიომ?

-რა მომცა რადიომ? რადიომ მართლაც დიდი წვლილი შეიტანა ჩემს განვითარებაში და ჩამოყალიბებაში. პირველ რიგში გავიცანი ძალიან მაგარი ადამიანები. გავიგე, როგორი უნდა იყოს ჟურნალისტი და რა სირთულეებს წავაწყდები მომავალში ამ მხრივ. რადიო, ასე ვთქვათ, მოსამზადებელი და ფუძე იყო ჩემთვის.

-რა გავლენა მოახდინა პანდემიამ შენს ცხოვრებაში?

-ისევე როგორც სხვების, ჩემი ცხოვრებაც შეცვალა პანდემიამ. თავიდან ძალიან გამიჭირდა აქტიური ცხოვრებიდან გადასვლა, რადგანაც არ ვიყავი მიჩვეული მოდუნებულ მდგომარეობას. მაგრამ ვისწავლე პანდემიასთან ერთად ცხოვრება, გამოჩნდა უამრავი ონლაინ აქტივობა, რაც მეხმარებოდა ამ მდგომარეობასთან შეგუებაში.

-თუ გაქვს თავისუფალი დრო და რისი კეთება გიყვარს ამ დროს?

-თავისუფალი დრო, ადრინდელთან შედარებით, უფრო ცოტაა, მაგრამ ამ დროს ვკითხულობ წიგნებს, ვუყურებ ფილმებს და ვცდილობ, დრო მეგობრებთან

გავატარო.

-რომ არა პანდემია....

-რომ არა პანდემია, ჩემი ყველა მიზანი შესრულებული მექნებოდა.

-ბოლო წიგნი, რომელიც წაიკითხე

-ბოლოს წავიკითხე ვაკო დარჩიას ,,სიკვდილთან დიალოგი“.

-სამომავლო გეგმები...

-სამომავლოდ ვგეგმავ, ჟურნალისტიკის სფეროს ძირფესვიანად შესწავლას და საკუთარი ტელევიზიის გახსნას.

-ქრისტი, როგორც აღნიშნე, სამომავლო გეგმებში საკუთარი ტელევიზიის გახსნა გაქვს, რა ასაკის მაყურებელი ეყოლება შენს ტელევიზიას?

-მინდა ჩემს ტელევიზიას ყველა ასაკის ადამიანი უყურებდეს, თავი იგრძნონ თავისუფლად, მხიარულად და ბედნიერად. არ უნდა ჰქონდეთ იმის მოლოდინი, რომ ჩემი ტელევიზიიდან მუდამ ნეგატივი და არასასიამოვნო ინფორმაცია წამოვა.

-როგორი შინაარსის გადაცემებს უყურებ?

-მხიარულს, საინტერესოს და შემეცნებითს.

- გყავს გამორჩეული, მისაბაძი ჟურნალისტი?

-დიახ მყავს და ეს მარიკო წიქორიძეა, მარიკოსგან ვისწავლე ყველაფერი რაც ვიცი, ყველაზე ძლიერი და შეუპოვარი ადამიანია, ვინც კი მინახავს. მიზნისთვის ბოლომდე იბრძვის და ყოველთვის მიჰყავს ეს ბრძოლა ბოლომდე. ვისურვებ, რომ მეც მისნაირი ჟურნალისტი ვიყო.

-რა არის ამჟამად შენს ცხოვრებაში ყველაზე მთავარი?

-ამჟამად ყველაზე მთავარი, ჩემი კარიერაა.

-ცხოვრებაში წარმატება ჩემთვის ნიშნავს...

- დასახული მიზნების ბოლომდე მიყვანას.

-ვინ არის შენთვის მისაბაძი მაგალითი?

-მისაბაძი ვფიქრობ ჩემი თავი უნდა იყოს და არა სხვა ვინმე.

-სად ხედავ თავს 5 წლის შემდეგ...

-ხუთი წლის შემდეგ ჩემ თავს ვხედავ, რომელიმე უცხოურ მედია სივრცეში.

-ყველაზე მთავარი ადამიანები შენს ცხოვრებაში

-მთავარი ადამიანები ჩემთვის არიან ოჯახის წევრები და მეგობრები.

-რა არის ის ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც შენს შესახებ უნდა იცოდეს საზოგადოებამ..

-ვფიქრობ, საზოგადოებამ ჩემს შესახებ უნდა იცოდეს ის, რომ არ მიყვარს მარტივად დანებება და ყოველთვის ვცდილობ ვიპოვო გამოსავალი, ასევე უნდა იცოდნენ ჩემი მიზანდასახულობის შესახებ.

-პანდემია რომ დასრულდება, პირველი რას გააკეთებ?

-პანდემია რომ დასრულდება, პირველი არ ვიცი რას გავაკეთებ, მაგრამ ზუსტად ვიცი, რომ სასიამოვნოდ გავატარებ დროს.

-რას ეტყოდი მათ, ვინც ახლა გადის იმ გზას, რომელიც შენ გაიარე?

-მათ ვურჩევ რომ გამოიყენონ ეს დრო, არ დაკმაყოფილდნენ იმ ცოდნით, რაც აქვთ, უფრო მეტი მოითხოვონ, არ დანებდნენ და შექმნან საკუთარი თავის საუკეთესო ვერსია.

-როგორ ქვეყანაში ისურვებდი ცხოვრებას?

-ისეთში არა ნამდვილად, როგორშიც ახლა ვცხოვრობთ, იმედს ვიტოვებ, ადრე თუ გვიან, ყველაფერი გამოსწორდება და ერთმანეთის ჭამის ნაცვლად, ქვეყნის ბედზეც იფიქრებენ.

ავტორი:ნონა ხუზმიაშვილი

წინაპრების მიერ დაწყებული საქმე და გაგრძელებული ტრადიცია

„ლუკას მარანის“ ქვევრის ღვინო დამზადებულია ბოლნისში, ზვარეთის ზვრებში, 80 წლის წინ გაშენებულ ვენახში დაკრეფილი ბოლნური რქაწითელისგან. ღვინო მზადდება ძველი ქართული ტექნოლოგიით. არის თეთრი მშრალი, გამოირჩევა ნაზი, ღვინისთვის დამახასიათებელი არომატითა და გემოთი, ,,ლუკას მარანის“ ღვინო 500 ლიტრიან ქვევრში, 180 წლის გერმანულ მარანში მზადდება. დღეს უკვე, ბიზნესად ქცეულ წარმოებას სტუდენტი, ლუკა გაბრიჭიძე, ოჯახთან ერთად უძღვება. 1939 წელს წინაპრების მიერ დაწყებულ ტრადიციას ახალგაზრდა თაობა აგრძელებს. ლუკას, ვენახის მოვლის, 7 წლიანი გამოცდილება აქვს.

,,2017 წელს ჩემივე სახელობის მარანი დავაარსეთ, სადაც იწურება რქაწითელი, რომელიც დღეს უკვე საკმაოდ პოპულარულია არამარტო ბოლნისის ადგილწარმოშობის, არამედ სხვა ცნობილ ღვინოებს შორის. ჩვენი მიზანია, ამ ისტორიულ ქალაქში, ვაწარმოოთ უმაღლესი ხარისხის ღვინოები“.

ბოლნისში წარმოებული ღვინოები, ნიადაგიდან გამომდინარე, უნიკალური გემოვნური თვისებებითა და არომატით გამოირჩევა. მათ შორის „ლუკას მარანის“ ღვინო, რომელსაც რბილი, ჰარმონიული, დახვეწილი გემო აქვს მინდვრის ყვავილების ტონებით, დავარგებისას კი ღვინოს უვითარდება ხილის არომატი. ეს კი გამოწვეულია ბოლნისში არსებული კლიმატითა და ნიადაგის ადგილწარმოშობის სპეციფიკურობით.

„ვენახში გაშენებულია რქაწითელი, ვაზი საკმაოდ ასაკიანი, თუმცა უხვმოსავლიანია, წლიდან წლამდე გაზრდილ მოსავალს ვიღებთ, სწორედ ამ ყურძნისგან ვაწარმოებთ ღვინოს. 2019 წელს გავაშენეთ საფერავი, ეს „ლუკას მარანის“ ახალი პროდუქტი იქნება, რომლისგანაც მოსავალს წელს ველოდებით. რაც შეეხება ბრენდის სახელს „ლუკას მარანი“ - მამაჩემის გადაწყვეტილებაა, ვინაიდან ვენახის მოვლის საქმეში დიდი ხანია ჩართული ვარ, ეს ერთგვარი დაფასება იყო ალბათ მისი მხრიდან, რაც ჩემთვის ძალიან სასიამოვნოა, სახელი მყიდველშიც დიდ ინტერესს იწვევს“.

ავტორი: მაგდა დევნოზაშვილი

სევდით და ტკივილით დაწყებული პოეზია

გაგრძელება, დასაწყისი მეოთხე გვერდზე

სიყვარულითა და პატივისცემით უძღვნის ბოლნისსაც ლექსებს, რომელიც სოციალურ ქსელში დიდი პოპულარობით სარგებლობს.

-თქვენი ცხოვრება რომ სევდიანია ეს თქვენი წერის სტილშიც იგრძნობა, წერა გაძლევთ საშუალებას, რომ იპოვოთ შვება?

-წერის დროს ბოლომდე ვიხარჯები, შვებას მხოლოდ პოეზიაში ვგრძნობ, სამწუხაროდ თვესა და ხუთ დღეში უკუღმა დატრიალდა ჩემი ცხოვრება, მძიმე ტკივილი და სევდა მერგო... სასწაულად გადამირჩა შვილი, უფალმა ამისთვის არ გამწირა, თუმცა დავკარგე მეუღლე და მამა. სწორედ წერა მაძლიერებს და მცლის უარყოფითი ენერგიისგან.

-როდის დაიწყეთ წერა?

-წერის დაწყება უფლისგან ბოძებული წყალობაა ჩემს შემთხვევაში. შიში იმისა, რომ შევიშლებოდი, არ მაძლევდა საშუალებას, მოდუნების და არ მოქმედების. 2019 წელს დავიწყე წერა და დღემდე არ გავჩერებულვარ. მაქვს უკვე 3 წიგნის მასალა.

-ცხოვრება რომ თავიდან დაიწყოთ ისევ პოეზიას აირჩევდით?

-დიახ, ისევ პოეზია, მხოლოდ სევდასა და ტკივილს გავაქრობდი კადრებიდან, რომელიც სულს და გულს მიკლავს.

-რა არის ის, რაც ძალიან გტკივათ?

-მტკივა ადამიანების სიცივე, უგულო დამოკიდებულება ერთმანეთის მიმართ.

-ის, რაც ძალიან გსურთ.

-(ცრემლიც კი მომადგა) მსურს მენახოს საქართველო ერთიანი, მთლიანი, მოსიყვარულე ხალხით, მშვიდი და ნათელი ფერებით.

-სამომავლო გეგმები?

-ვგეგმავ წიგნის გამოცემას, მიწვეული ვარ მოკლემეტრაჟიან ფილმში, სადაც პოეტის ცხოვრება უნდა განვასახიერო, რომლის ავტორიც თავად ვარ. დანარჩენ გეგმებს კი ჩემთვის შემოვინახავ.

ავტორი: მარინა გავაშელი

ბოლნისო

ბოლნისო, ჩემო სანუკვარო ტრფობის მშვენებავ,
ფრთიან ოცნების ფრთაგაშლილო, ფიქრის დინებავ,
მიმოქარგულო სანახებო წარმტაც ბუნებავ,
დედულ-მამულო სავანეო, ფესვთა ფერებავ.

შეუდარებელ სიყვარულის,- მზეო სხივებავ,
სათაყვანებელს, უბერებელს, გიწყებ მხილებას,
სიტურფე შენი თვით უფალმა ზეცით ინება,
ქირგამოვლილო... სიხარული სახეს გიხდება...

წარსულის კვალთა ნატერფალი... მკერდში
იზრდება,
ბოლი და ნისლი გაუფანტავთ, ბოლნელთ
გმირობას,
უშრეტ წყაროთა მადლით უხვით მიწა
ირწყვება,
ძველით-ახალთან საუცხოო დიდო ქმნილებავ!..

მამულიშვითა-მამულისთვის თავის დადება,
სულზე გაჩნია საგანძურად არ დავიწყება!
ჩაუმქრალ ვარსკვლავთ ქედს მოვუხრით გულის
მშვიდებად,
საბა-სულხანის, ნათლის სხივი ნათლით
ბრწყინდება!..

სულმნათი ბერის განვლილ გზაზე, ლოცვა
გინდება,
ძველი სიონის, ელიას მთის აღორძინებამ,-
გაგაასმაგათ!.. სიცოცხლის დღე
გაგიცისკროვნათ!..
ბოლნური ჯვარით განამტკიცოთ, ქართველთ
დიდება.

უფალი გფარავთ, დიდი არის მისი განგება,
კრიალა ცაზე იციმციმონ ცისფრად ღრუბლებმა,
იფრინონ მშვიდად მტრედებმა და ლაღმა
გვრიტებმა,
შეგმატებოდეთ ბოლნელებო, გენით ლხინობა.

ქორწილ-ჯვრისწერით გამრავლება გამცნონ
წყვილებმა,
კერიას თქვენსას, იღუღუნონ გუნდად ჩვილებმა,
ჩამოჰკართ ხელი ჰე... ბოლნელნო ჩონგურს
სიმებსა,
ომახიანი გუგუნებდეს თქვენი სიმღერა.

გაფანტეთ ყველა სევდა დარჩი უფლის იმედად,
იმრავლეთ მარად, იდღეგრძელეთ, ქერით-
ფუძედან.
გამილამაზდით, შინ და გარეთ გექმნათ
მშვიდობა!..
ჩემო ბოლნელნო, ბოლნელობა გშვენით
გიხდებათ.

გუთი ბოლნელი

Tələbələrin maliyyələşdirilməsi proqramı davam edir

Bolnisi Bələdiyyəsi tərəfindən təsdiq edilmiş tələbə maliyyəsini almaq üçün sənədləri Bolnisi Bələdiyyəsinin Vətəndaşlara Xidmət Şöbsinə təqdim edin.

Maddi yardım proqramına kateqoriyalara uyğun olaraq tələbə tam sənədləri təqdim etdikdən sonra cəlb olunacaq.

Bələdiyyə aşağıdakı kateqoriyalar üzrə tələbələrə yardım göstərəcək:

1. Valideynləri olmayan və ailə başçısını itirmiş tələbələr və dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan himayədar ailələrdən olan tələbələr.

1.Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2.Məktəbdən arayış;
3.Ölüm haqqında şəhadətnamə;
4.Şəxsi bank hesabı;
5.Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;
6.Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

2. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan məcburi köçkün ailələrindən olan tələbələr;
1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Məcburi köçkünlük şəhadətnaməsi;;
3. Məktəbdən arayış;
4. Bankdan şəxsi hesabı;
5. Doğum şəhadətnaməsinin surəti.

3. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan sosial cəhətdən həssas (0-dan 100 000-dək) ailələrdən olan tələbələr;
1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Sosial cəhətdən həssas olanlar haqqında arayış (0 -dan 100 000 bala qədər);
3. Məktəbdən arayış;
4. Şəxsi bank hesabı;
5. Doğum şəhadətnaməsinin surəti.
6. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

4. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan çoxuşaqlı ailələrdən olan tələbələr (üç və ya daha çox uşaq);

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Doğum şəhadətnaməsinin surətləri (bütün əmiuşaqların);
3. Şəxsi bank hesabı;
4. Məktəbdən arayış;
5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

5. Dövlət akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan iki və ya daha çox tələbəsi olan ailələrdən olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;
3. Şəxsi bank hesabı;
4. Məktəbdən arayış;
5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının (Forma 1) surəti.

6. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan magistrantlar;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;
3. Şəxsi bank hesabı;
4. Məktəbdən arayış;
5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);
6. Qiymət kağızı (81 -dən 91-də daxili 50 lari);

7. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan əlaçı tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;
3. Şəxsi bank hesabı;
4. Məktəbdən arayış;
5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);
6. Xallar haqqında çıxarış (91 -dən 100-də daxili 50 lari);

8. Dövlət tərəfindən akkreditə olunmuş ali təhsil müəssisəsində təhsil alan fiziki məhdudiyyəti olan tələbələr;

1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;
3. Şəxsi bank hesabı;
4. Məktəbdən arayış;
5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);
6. Əlilllik statusu.

"Yetkinlik yaşına çatmayanların məhkumluğu məcəlləsi" Gürcüstan qanunu ilə müəyyən edilmiş qanunla ziddiyyət təşkil edən və tələbə adını qazanmış yeniyetmə - 100 lari
1. Şəxsiyyət vəsiqəsinin surəti;
2. Doğum haqqında şəhadətnamənin surəti;
3. Şəxsi bank hesabı;
4. Məktəbdən arayış;
5. Dövlət Xidmətlərinin İnkişafı Agentliyindən ərizə formasının surəti (Forma 1);
6. Yayılma protokolu, cinayət təqibinin başlanmaması haqqında qərar və ya ibtidai araşdırmaya xitam verilməsi haqqında qərar və ya məhkumluq və ya inzibati xəta haqqında protokol və ya inzibati xətaya görə inzibati tənbeh tətbiq etmə haqqında qərar.

Nəzərə alın ki, təhsil müəssisəsindən arayış tahsıı başladıqdan sonra verilməlidir. Əks təqdirdə təqdim olunan sənədlərə baxılmayacaq.

Giorgi Doxturişvilinin təşəbbüsü ilə Sosial cəhətdən həssas və digər həssas kateqoriyalardan olan benefisiarlar kənd təsərrüfatı texnikasından pulsuz istifadə edəcəklər.

Kvemo Kartli üzrə Dövlət Nümayəndəsi Giorgi Doxturişvilinin təşəbbüsü ilə administrasiyanın balansında olan 18 ədəd kənd təsərrüfatı texnikası yerli özünüidarəetmə orqanlarının mülkiyyətinə verilib - bu mərhələdə Marneuli Bələdiyyəsi - 5, Qardabani - 4, Dmanisi - 3, Bolnisi, Tetritskaro 2-2 ədəd traktor alıblar.

Sosial cəhətdən həssas vətəndaşlar və digər həssas qrupların nümayəndələri yenilikdən pulsuz istifadə edə biləcəklər - proses bələdiyyənin xüsusiyyətləri və xüsusi yazılmış proqram nəzərə alınmaqla həyata keçiriləcək. İş axtaranlara dəstək məqsədilə müvafiq statusa malik şəxslər də təlim keçəcəklər.

"Kvemo Kartli bölgəsində bələdiyyələrin merləri ilə birlikdə tədbirlər planı hazırlamışıq – proqrama əsasən, bələdiyyələrin müvəqqəti istifadəsində olan 18 traktoru bu gündən təhvil vermişik. Həmçinin bu gündən etibarən bütün sosial cəhətdən həssas ailələrə və həssas qruplara müraciət qeydə alınan kimi torpaqların becərilməsi üçün lazım olan xidmətlər göstəriləcək və bu proses yerli özünüidarəetmə orqanları tərəfindən həyata keçiriləcək. Bu, əhali üçün çox vacib layihədir, çünki bir çox hallarda ailələrin kifayət qədər vəsaiti yox idi və torpaqlar əkilməmişdi - bu gün artıq bu problem həllini tapıb.

Bələdiyyə merlərinə təşəkkür etmək istəyirəm, çünki bu proqram onların bilavasitə iştirakı ilə hazırlanıb. Bu işlərin gecikməməsi üçün onların hamısı çağırışın ən yüksək zirvəsindədir - 18 traktor bu gündən əkin sahələrində aktiv fazada işə başlayacaq", - Giorgi Doxturişvili bildirib.

Qeyd edək ki, 2016-cı ildə "SOCAR" şirkəti Kvemo Kartli üzrə Dövlət Nümayəndəsinin administrasiyasına müvafiq xüsusi avadanlıqla təchiz olunmuş 18 traktor təhvil verib – Bu texnikanın istifadəsi yalnız sorğu müqaviləsi əsasında rayon bələdiyyələri tərəfindən təmin edilib.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯი აურამაინს შრომის უსაფრთხოებისა მაღალი სტანდარტის დამადასტურებელი ISO სერთიფიკატი მიენიჭა

არემჯი ჯგუფში შემავალმა კომპანია არემჯი აურამაინმა ISO 45001 სერთიფიკატი მოიპოვა, რომელიც კომპანიაში შრომის უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვის მაღალი სტანდარტის დამადასტურებელია.

ISO 45001 სერტიფიკატი მენეჯმენტის სისტემის საერთაშორისო სტანდარტს წარმოადგენს და მიზნად ისახავს კომპანიაში უსაფრთხო და მისაღები სამუშაო ადგილების შექმნას, სამუშაოსთან დაკავშირებული ტრავმების და ჯანმრთელობის გაუარესების თავიდან აცილებას. ასევე, ჯანმრთელობის დაცვის და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის დარგში მისი საქმიანობის მაჩვენებლების მუდმივ გაუმჯობესებას.

არემჯი აურამაინში, ISO 45001-ის დანერგვა 2020 წლიდან დაიწყო და ახლა სერტიფიცირებ-ის პროცესის წარმატებით დასრულებასთან ერთად, არემჯი დასაქმებულებისათვის კიდევ უფრო მაღალი შრომის უსაფრთხოების და ჯანმრთელობის დაცვის სტანდარტის შეთავაზებას შეძლებს. სტანდარტის განახლება სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო დანერგილი სისტემის გამართული ფუნქციონირების შემოწმება ყოველწლიურად, დამოუკიდებელი აუდიტის მიერ მოხდება.

„მოხარული ვარ, რომ ISO 45001 საერთაშორისო სტანდარტთან, შრომის უსაფრთხოებისა და დაცვის დარგში ჩვენ კომპანიაში არსებული მენეჯმენტის

INTERCERT®

CERTIFICATE OF REGISTRATION

INTERCERT hereby certifies that the Occupational Health & Safety Management System of

RMG Auramine LLC

N1 M. Aleksidze str., 3 Lane, 0193 Tbilisi, Georgia

Has been successfully assessed as per the requirements of

ISO 45001:2018

For the scope of

Mining of Polimetalic Ore in Underground Conditions and Transportation to a Temporary Storage Warehouse.

Initial Certification Date : November 02, 2021
Certificate Issue Date : November 02, 2021
Surveillance Validity Date : November 01, 2022
Recertification Date : November 01, 2024

Registration Number: IC-OS-2111001

Issued on behalf of InterCert
Head - Certifications

INTERCERT REGISTERED

ISO 45001 CERTIFICATION INTERCERT

IAF MSCB-121

IAS ACCREDITED

The validity of this certificate can be verified at www.intercert.com or through email at info@intercert.com. This certificate is the property of INTERCERT INC, 2001 Timberloch Place - Suite 500, The Woodlands, Texas 77380, United States and must be returned on request.

სისტემის შესაბამისობა დამოუკიდებელმა სასერტიფიკატო ორგანომ დაადასტურა. ეს კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას გვიჩენს, რომ ჩვენს საწარმოში ყოველდღიური მიწისქვეშა სამუშაოები საერთაშორისო სტანდარტებით და შრომის უსაფრთხოების წესების სრული დაცვით ვაწარმოოთ,“ - აღნიშნა „არემჯი აურამაინის“ გენერალურმა დირექტორმა, თორნიკე ლიპარტიამ.

არემჯი აურამაინის ბექთაქარის მაღარო ბოლნისის მუნიციპალიტეტში, თანამედროვე ტექნოლოგიებით განხორციელებული სამთამადნო პროექტია, სადაც პოლიმეტალური მადნის მოპოვება მიწისქვეშა წესით ხორციელდება.

„კომპანია არემჯის მხარდაჭერით, 2022 წლის 3 მარტს, პოლონეთში, გაიმართება ქართული ბოლნისური ღვინოების გამოფენა-დეგუსტაცია, სადაც მონაწილეობას მიიღებს 25 ბოლნისური მარნის 70-მდე ღვინო. ორი წლის წინ იყო დაგეგმილი ეს ღონისძიება და სამწუხაროდ პანდემიის გამო ვერ ჩატარდა. წელს მოგვეცა შესაძლებლობა, პოლონეთის მოსახლეობას გავაგებინოთ, რომ არსებობს საქართველოში კიდევ ერთი ახალი მიკრო ზონა, სადაც ადგილწარმოშობის ღვინოები მზადდება. მცირე საოჯახო მარნების განვითარების ტენდენცია უკვე მთელ მსოფლიოში შეიმჩნევა. იმედი მაქვს, რომ სამომავლოდ კიდევ ბევრ ქვეყანაში შევძლებთ გასვლას და ჩვენი ღვინოების გატანას.“ - გურამ ავქოფაშვილი, გაერთიანება „ღვინო ბოლნისის“ დირექტორი.

კახაბერ კეკელიძე

კომპანია არემჯის გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსი

„მიყვარს ჩემი პროფესია და ყოველთვის მზად ვარ ჩემი წვლილი შევიტანო კომპანიისა და ქვეყნის წინსვლაში“ - კახაბერ კეკელიძე პროფესიით სამთო ინჟინერია. 1991 წელს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ განაწილებით დაბა კაზრეთში, მადნეულის სამთო გამამდიდრებელ კომბინატში ფლოტატორად დაიწყო მუშაობა. წლების მანძილზე სხვადასხვა პოზიციაზე მოუწია მუშაობა. 2014 წელს, თავისი სპეციალობით დაიცვა დისერტაცია და დოქტორის აკადემიური ხარისხი მიენიჭა. 2001 წლიდან გამამდიდრებელი ფაბრიკის უფროსის პოზიციას იკავებს. 17 დეკემბერს არემჯიში სამთოელის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე, კახაბერ კეკელიძე, 2021 წლის სამთოელად დასახელდა.

„კომპანიაში 31 წლიანმა მუშაობის გამოცდილებამ დამანახა, რომ არსებითი მნიშვნელობა აქვს პერსონალის კვალიფიკაციისა და საქმისადმი კეთილსინდისიერ დამოკიდებულებას. ბოლო პერიოდში კომპანიაში არაერთი ცვლილება განხორციელდა. ფაბრიკაში, სადაც ხანგრძლივი ექსპლუატაციის შედეგად მოძველებულია მანქანა-დანადგარები, სრულყოფას საჭიროებდა ფაბრიკის ტექნოლოგიური სქემაც. 2020 წლიდან მიმდინარეობს სპილენძის გამამდიდრებელი ფაბრიკის ძირეული გადაიარაღება, თანამედროვე მაღალმწარმოებლური მანქანა-დანადგარებით და მაღალეფექტური ტექნოლოგიებით, რაც წარმოების ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლების გაუმჯობესების გარანტს წარმოადგენს.“

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

მთავარი რედაქტორის მოადგილე: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.